პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 □ გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან □ 1978

□ ოთხშაბათი 8 თებერვალი 1978 წ. □ № 33 (17077) □ ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის შესახვედრად

## ღირსეული გეგმა — 7 ოქტომბრისათვის!

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" „ელექტროავტომატის" ქარხნის კოლექტივმა შარშანდელი საიუბილეო წლის გეგმა-ვალდებულებები გადაჭარბებით შეასრულა — მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმები შესაბამისად 100,3 და 100,9 პროცენტით, ხოლო რეალიზაციისა — 103,4 პროცენტით განაღდა.

ქარხნის მშრომელებმა მეათე ხუთწლედის მიმდინარე დამკვრელური წელიც კარგად დაიწყეს. ისინი ახალი წარმატებებისათვის კიდევ უფრო დარაზმა და აღაფრთოვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილმა, რომლის პასუხად მათ გადაწყვიტეს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, ამაღლონ პროდუქციის ხარისხი, წარმოების ეფექტიანობა და არსებული რეზერვების მაქსიმალური ამოქმედების გზით წლის ბოლომდე ასობით ზეგეგმითი „აე-2050" ტიპის სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ავტომატი გამოუშვან.

ამ საპატიო მოძრაობის წამომწყები გახდნენ ახალგაზრდებისათვის ქარხნის ძველ, გამოცდილ მუშებთან ერთად თავდადებით შრომობენ საწარმოს ახალგაზრდები. ისინი ცდილობენ ახალი თვალსაჩინო შრომითი წარმატებებით შეეგებონ საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობას, რომელიც ამ დღეებში გაიმართება.

სატვიფრ-გალვანური სამქრო, რომლის კოლექტივის 70 პროცენტზე მეტი ახალგაზრდობაა, ერთ-ერთი მოწინავეა ქარხანაში. ძველ მუშებს ე. შავერდაშვილს, გ. პაპოიანს, შ. ხანოძეს, ლ. კოსტანაშვილს შრომაში ტოლს არ უდებენ ახალგაზრდა მუშები მ. სიდონიშვილი, დ. აბრამიძე, ზ. ჩხეიძიანი, ე. პატარაია და სხვები, რომლებმაც თანატოლებთან ერთად გადაწყვიტეს წლევანდელი გეგმები სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების დღისათვის — 7 ოქტომბრისათვის შეასრულონ, ხოლო შემდეგ კომკავშირის დაბადების დღემდე — 29 ოქტომბრამდე დარჩენილი დროის მანძილზე განსაკუთრებულად გაისარჯონ, მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია აწარმოონ და საკავშირო კომკავშირის მე-60 წლისთავი ახალი გამარჯვებებით აღნიშნონ.

# ახალგაზრდობის შემოქმედება სამშობლოს!

როცა მომავალზე ვფიქრობთ, როცა მომავალს ვჭვრეტთ, — თქვა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე თავის მოხსენებაში „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი", — კიდევ ერთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: ჩვენი საზოგადოების ცხოვრებისა და განვითარების ყველა სფეროსათვის სულ უფრო დიდ როლს შეასრულებს საბჭოთა ადამიანების შეგნების, კულტურის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დონე...

ზრუნვა, ყურადღება და ფიქრი საბჭოთა ახალგაზრდობაზე, ვის საიმედო ხელშიც არის ქვეყნის მომავალი, კომუნისტურ პარტიას მიაჩნდა და მიაჩნია თავის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად, თავისი ერთგული მებრძოლი თანაშემწის — კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის ძირითად დევიზად. ეს სულისკვეთება, ეს დამოკიდებულება გამოხატულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელმძღვანელო დადგენილებებში, ყრილობების, პლენუმების გადაწყვეტილებებში. ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ასეთი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ", რომელიც წელიწადზე მეტია ხელმძღვანელობისა და მუშაობის საუკეთესო ორიენტირი გახდა და დროის მცირე მონაკვეთშიც კი ბევრი სასარგებლო ნაყოფი გამოიღო.

ახალგაზრდა ხელოვნების მუშაკებთან მთელ მუშაობას საფუძვლად უნდა ედოს ის, რომ მათდამი გულისხმიერი დამოკიდებულება, პატივისცემა შეხამებული იყოს მომთხოვნელობასა და პრინციპულობასთან. უნდა შევისწავლოთ შემოქმედი ახალგაზრდობის პრობლემები და საჭიროებანი, დავეხმაროთ მას ნიჭის და უნარის გამოვლენაში, წარვმართოთ ტალანტების განვითარება პერსპექტიული შემოქმედებითი გზით, ღლნიადაგ განვამტკიცოთ და გავამრავალფეროვნოთ ახალგაზრდა ხელოვანთა კავშირი ცხოვრებასთან, განვავითაროთ მისი საზოგადოებრივი აქტიურობა, აღვზარდოთ ისინი კომუნისტური იდეალებისათვის მტკიცე მებრძოლებად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ეს ძირითადი მოთხოვნები და დებულებები საფუძვლად დაედო იმ ფართო პროგრამას და კონკრეტულ გეგმებს, რომლებიც ამ დადგენილების პრაქტიკული განხორციელების ამოცანის შესაბამისად შეიმუშავეს ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა და ორგანიზაციებმა, ხელოვნების საშუალო და უმაღლესმა სასწავლებლებმა.

განსაკუთრებით თვალსაჩინო და დიდად სასარგებლოა მუშაობა, რომელიც ამ მიმართულებით საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციამ გასწია და საუკეთესო გამოცდილებაც შეიძინა. საგულისხმოა, რომ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საგანგებოდ შეისწავლა საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკურ კომკავშირულ ორგანიზაციაში. ბიუროს სპეციალურ დადგენილებაში მოწონებულია ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა მოღვაწეთა იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული აღზრდის სრულყოფის ღონისძიებათა ის სისტემა, რომელიც კულტურის ორგანოებთან, პროფკავშირებთან და შემოქმედებით კავშირებთან ერთად საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს და პრაქტიკულადაც ახორციელებენ.

შემოქმედი ახალგაზრდობის იდეური წრთობის და პროფესიული აღზრდა-დაოსტატების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა ამ სისტემის ძირითადი ბირთვი, ორგანიზაციული საფუძველია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შემოქმედებითი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრი. მან დროის მცირე მონაკვეთშიც კი ფრიად დიდად საჭირო და სასარგებლო საქმე გააკეთა. ეს კონკრეტულად იყო ნაჩვენები გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" ამასწინანდელ სარედაქციო სტატიაში „შემოქმედ ახალგაზრდობას — ჩვენი ზრუნვა", რომელსაც ჩვენი მკითხველი რესპუბლიკური პრესის ფურცლებზეც გაეცნო.

რესპუბლიკური ცენტრის ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ახალგაზრდა მწერალთა და ხელოვანთა ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებას, მათი საზოგადოებრივი აქტივობის ზრდას. დიდად გაფართოვდა ახალგაზრდა ოსტატთა შემოქმედებითი მივლინებები რესპუბლიკის საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში. ახალგაზრდებმა შექმნეს და გამოაქვეყნეს მხატვრული ნაწარმოებები — ლექსები, ნარკვევები, მოთხრობები, ჩანახატები და სხვ., რომლებიც შემდეგ ცალკე კრებულად გაერთიანდა საერთო სახელწოდებით „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია".

ჩვენი შემოქმედი ახალგაზრდობა სულ უფრო ფართოდ და აქტიურად მონაწილეობს და თავის სიტყვას ამბობს რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე — უმაღლესი დონის შეკრებებსა და მეგობრულ შეხვედრებზე, გამოფენებსა და კონცერტებზე, ხელოვნების კომპლექსურ დათვალიერება-ფესტივალებში და ცალკეული კოლექტივების გასტროლებში. მაგალითად, საგულისხმოა, რომ საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობა — მწერლები და ხელოვნების წარმომადგენლები ამ ცოტა ხნის წინათ ღირსეული შემოქმედებითი ანგარიშით წარდგნენ მოსკოვის საზოგადოებრიობის წინაშე; საუკეთესო გამოხმაურება ჰქონდა აგრეთვე მეტეხის ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის გასტროლებს მოსკოვში „კრასნაია პრესნიაზე".

ზოგიერთ ამ წარმატებაზე და მიღწევაზე რომ ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, იმის თქმა როდი გვინდა, თითქოს უკვე ყველაფერი გაკეთებული იყოს, თითქოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ" საბოლოოდ შესრულებულიყოს, თითქოს საზრუნავი და საფიქრალი აღარაფერი გვქონდეს. პირიქით, გასაკეთებელი ძალზე ბევრია, და მთავარი სამუშაო, სისტემატური და თანამიმდევრული, ყოველდღიური და გადაუდებელი სამუშაო კიდევ წინ არის. ამის შესახებ მართებულად არის მითითებული საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაშიც. აქვე, ცხადია, მოცემულია კონკრეტული დავალებები და რეკომენდაციები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შემოქმედ ახალგაზრდობასთან თავიანთ შემდგომ მუშაობაში.

საყოველთაო ყურადღებით გარემოსილმა ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედმა ახალგაზრდობამ გულთან უნდა მიიტანოს ის დიდი ამოცანები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მასალებში და თავისი მხატვრული შემოქმედებით ხელი შეუწყოს საქართველოს მშრომელთა მიერ 1978 წლის — ხუთწლედის მესამე წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას. საბჭოთა კულტურის ყველა მუშაკთან ერთად ჩვენ ახალგაზრდა შემოქმედებით მუშაკებს თავიანთ უპირველეს მოვალეობად და მოწოდებად უნდა მიაჩნდეთ რომ იყვნენ ახალი სოციალისტური ცხოვრების, საბჭოთა ადამიანთა გრანდიოზული საქმეების და კეთილშობილური ზრახვების გამომხატველნი და მეხოტბენი, მაღლა ეჭიროთ ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა, სრულყონ თავიანთი მხატვრული ოსტატობა, მთელი ნიჭი და ენერგია მოახმარონ ხალხს, სამშობლოს, კომუნისტური პარტიის იდეალებს.

ამ მეტად საპატიო და კეთილშობილური ამოცანების შესრულება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ პარტიული ორგანიზაციები როგორ ხელმძღვანელობასა და დახმარებას აღმოუჩენენ კომკავშირულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდობის შემოქმედებით ორგანიზაციებს.

## ხუთწლედი — ვადამდე!

### გეგმის გადამეტებით

ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა მიმდინარე წლის იანვარში გეგმის გადამეტებით 50 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. ათვისებულია მამაკაცის ჯინსის კოსტუმების ორი ახალი მოდელი. იანვრის დავალება აქ 101 პროცენტით შესრულდა. უკვე წარმოებულია 5 მილიონ 25 ათასი მანეთის პროდუქცია. გადაჭარბებულია პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მეთაური საწარმოს № 3 და 4 სამკერვალო საამქროები, რომლებსაც ნ. ჭონიშვილი და ს. მეძმარიაშვილი ხელმძღვანელობენ. პირველობას არ თმობენ აგრეთვე № 25 და 26, № 35 და 36 ბრიგადები (ხელმძღვანელები — ლ. დარახველიძე, ვ. ზვიადაძე, ტ. აშვეთია, ნ. ჯალაღანია).

მკერავები დღითი დღე ზრდიან შრომის ტემპს.

ამ დღეებში სოფლად

### სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ

საგარეჯო (საკ. კორ.). ვაზის სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა მევენახის საპატიო საქმეა. სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" მევენახეებმა ივალდებულეს, მარტო წლეულს მოცდენილი ადგილების შესავსებად გამორგონ და გადააწვინონ 85 ათასი ძირი ვაზი.

მევენახეობის იმ ბრიგადების წევრები, რომლებსაც მ. ზარიევი, ა. ჯიმშელაძე, დ. მაისურაშვილი ხელმძღვანელობენ, ხელსაყრელ ამინდში არც ერთ დღეს უქმად არ კარგავენ. უკვე გამორგული და გადაწვენილია 70 ათას ძირზე მეტი ვაზი.

ვლ. მეძღლიშვილი.

### ხორცი — საპარმიდამოდან

გარდაბანი. („კომუნისტის" კორ.). კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტულ მეურნეობაში (დირექტორი — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გ. დალაქიშვილი) მთელი ძალ-ღონით მუშაობენ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. იანვარში სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 80 ცენტნერი რძე, ფაქტიურად მიჰყიდეს 120 ცენტნერი. ასევე გადაჭარბებით შეასრულეს ხორცის მიყიდვის იანვრის გეგმა.

მეურნეობას მხარში უდგანან მუშა-მოსამსახურეები. სულ მარტო მოსახლეობიდან სახელმწიფოს მიეყიდა 30 ცენტნერი ღორის ხორცი.



სურათზე: ქარხანა „ელექტროავტომატის" სატვიფრ-გალვანური სამქროს მოწინავე კომკავშირელი მუშები: მარცხნიდან — მ. სიდონიშვილი, დ. აბრამიძე, ზ. ჩხეიძიანი და ე. პატარაია.

ს. კილაძის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის შესახვედრად

# მთავარი მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე

სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ეგებება ქართველი ხალხი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 57-ე წლისთავს. ხუთწლედის გასულ, საიუბილეო წელს კომუნისტური მშენებლობის გზაზე მის მიერ გადადგმული მტკიცე, მნიშვნელოვანი ნაბიჯი განპირობებულია, უწინარეს ყოვლისა, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანამიმდევრული განხორციელებით. გარკვეული წარმატებანაა მიღწეული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურისადმი ხელმძღვანელობის ლენინური სტილის განუხრელი განხორციელების შედეგად. ამის მკაფიო გამოვლინებაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრადიციული პლენუმების მომზადება რაიონული, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით.

რესპუბლიკის კომუნისტები საქმიანად ემზადებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმისათვის, რომელიც განიხილავს სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების საკითხს. რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ამ საკითხზე შემოსულ მნიშვნელოვან წინადადებებსა და რჩევებს დეტალურად შეისწავლის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან სპეციალურად შექმნილი კომისია, ისინი აისახება მომავალი პლენუმის მასალებში.

პლენუმის მომზადების პროგრამის შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები შეხვდნენ საქართველოს მთელი რიგი რაიონების პარტიულ-სამეურნეო აქტივის წარმომადგენლებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე ახალციხეში, გორში, გურჯაანსა და აბაშაში შეხვდა მესხეთ-ჯავახეთის, ქართლის, კახეთის, კოლხეთის დაბლობის რაიონების პარტიულ-სამეურნეო აქტივის წარმომადგენლებს. ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. ხინთბა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი. გაიმართა სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან მისი ურთიერთმოქმედების აქტუალური პრობლემების საქმიანი განხილვა, რომლის დროსაც პარტიის რაიკომების მდივნებმა, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების, „საქსოფლტექნიკის", „საქცხოველმრეწვის" რაიონული ქვეგანაყოფების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამეურნეობათშორისო საწარმოებისა და გაერთიანებების და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო საწარმოებისა და გაერთიანებების დირექტორებმა და სხვებმა მთელი რიგი კონსტრუქციული, მნიშვნელოვანი წინადადებანი წამოაყენეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმის დღის წესრიგის საკითხზე.

თესების ფართობი შემცირდა იმის გამო, რომ იქ მიიღეს მძლავრი ტექნიკა, მაგრამ მისი მეშვეობით შეუძლებელია დაქსაქსული პატარ-პატარა და ძნელად მისადგომი მიწის ნაკვეთების დამუშავება. მთიელებისათვის ბარში ჩამოსახლების ფართო შესაძლებლობების მინიჭებამ მთელ რიგ შემთხვევებში მოჰყვა ის, რომ ზოგიერთ მთიან რაიონში თითქმის მთლიანად შეწყდა ადამიანის სამეურნეო საქმიანობა.

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას უაღრესი სიფრთხილის საჭიროების აზრი წითელ ზოლად გასდევდა შეხვედრებზე ყველა გამოსვლას. მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობა სრულიადაც არ გამორიცხავს იმას, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებს, პროფილის მიუხედავად, ჰქონდეთ პატარა ფერმები ძროხისა და ღორის სადგომი სულადობის შენახვისათვის. მაშინ ისინი შეძლებენ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების მუშებს მიჰყიდონ ხბორები და გოჭები. ამასთან მეურნეობებმა სოფლის მშრომელებს პირადი დამხმარე მეურნეობის საჭიროებისათვის უნდა მიაწოდონ საკვები. პირად საკარმიდამო მეურნეობებში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების კარგი შესასყიდი ფასები სტიმულს მისცემს მოსახლეობას ჩააბაროს იგი დამხადებას.

ფართოდ უნდა გავრცელდეს მცირე მექანიზაციისა და მელიორაციის საშუალებანი. დროა მივაღწიოთ იმას, რომ ჯეროვან დონეზე ვაწარმოოთ ჯიშთსანაშენე საქმე და სელექცია, უზრუნველვყოთ საძოვრებისა და სათიბების ექსპლოატაციის მაღალი კულტურა. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის უმაღლესი სასწავლებლები მოვალენი არიან გააუმჯობესონ სოფლისათვის სპეციალისტთა მომზადება. საქართველო უკვე მალე გახდება დიდად განვითარებული მთის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის რესპუბლიკა, — ერთსულოვნად გამოთქვამდნენ რწმენას ორატორები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ" მნიშვნელოვანი, თვისებრივად ახალი ეტაპია სოფლის მეურნეობის დარგში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის მარტის პლენუმის, პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. ახალციხის, გორის, გურჯაანის, აბაშის შეხვედრებზე აღინიშნა, რომ საქართველოში — მცირემიწიან რესპუბლიკაში, სადაც მრავალფეროვანი ნიადაგურ-კლიმატური პირობები და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობაა — სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესი შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს. იგი თითქოსდა ორ ეტაპად ხორციელდება — ცალკეული რაიონების ფარგლებში ასეთი წარმოების სპეციალიზაციითა და კონცენტრაციით დაწყებული და რეგიონებისა და ზონების საზღვრებში მათი შემდგომი გაფართოებით დამთავრებული.

შეხვედრებზე გამოსული პარტიის რაიკომების მდივნების, სოფლის მეურნეობის სამმართველოების უფროსების, კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო საწარმოებისა და გაერთიანებების დირექტორების გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის მართვის ფორმები. მთელ რიგ შემთხვევებში რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოები, პრაქტიკულად მოკლებული არიან სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის განხორციელების შესაძლებლობას, რადგან არც ერთი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო საწარმო არ იმყოფება ამა თუ იმ რესპუბლიკური სამინისტროს, კომიტეტის, გაერთიანების, ტრესტის გამგებლობაში. ასეთ პირობებში მიწა — რაიონის, მთლიანად რესპუბლიკის ეს ფასდაუდებელი სიმდიდრე განაწილებული აღმოჩნდა ბევრ „უწყება-მეურნეობას" შორის, რამაც შეაფერხა მისი გამოყენების ეფექტიანობისადმი ერთიანი მკაცრი კონტროლის განხორციელება. მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყოველი მტკაველი მიწა — ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები, ეს არის სოფლის მეურნეობის თითოეული მუშაკის პატრიოტული მოვალეობა.

წარსულში იყო შემთხვევები, როცა მოუფიქრებლად, თვითნებურად უდგებოდნენ სოფლის მეურნეობის პრობლემების გადაჭრას, წარმოებაში ნერგავდნენ მცდარ, ნაჩქარევ რეკომენდაციებს, ახორციელებდნენ ბოლომდე შეუმოწმებელ პროექტებს, თუმცა ზოგიერთ შეცდომას ბოროტი განზრახვით არ სჩადიოდნენ, მაგრამ ეს ძვირად უჯდებოდათ სოფლის მეურნეობასაც და მთლიანად სახელმწიფოსაც. რად ღირდა თუნდაც ის, რომ მთის პირობებში უარი თქვეს ჰყოლოდათ მეურნეობებში მუშა პირუტყვი? ახლაც არის ისეთი მეურნეობები, სადაც ნა-

შეხვედრების დროს განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო აბაშურ ექსპერიმენტს. ამ რაიონში შექმნილი რესპუბლიკაში ჯერ-ჯერობით ერთადერთი სოფლის მეურნეობის გაერთიანებული სამმართველო, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, უზრუნველყოფს „საქსოფლტექნიკის" რაიონული ქვეგანაყოფების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სხვათა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბოლოო შედეგებით დაინტერესების ამაღლებას. სხვა დადებით ფაქტორებთან ერთად, როგორიც არის, ფართო შესაძლებლობანი წარმოებაში მოწინავე გამოცდილების, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევათა განზოგადებისა და დანერგვისათვის, რაიონის ფარგლებში კაპიტალდაბანდებითა და ტექნიკით მანევრირება, მშრომელთა მატერიალური წახალისების პროგრესული ფორმების გამოყენება, სოფლის მეურნეობის მართვა აბაშელთა გამოცდილებისამებრ, საშუალებას იძლევა გაიზარდოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, უფრო წარმატებით გადაიჭრას მთავარი ამოცანა. სწორედ ამ მნიშვნელოვან მიზანს მიუძღვნის თავის მუშაობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმი. (საქინფორმი).

## ვიზიტი მოსკოვში

### მოლაპარაკება და სადილი კრემლში

7 თებერვალს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოლაპარაკება ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერთან ბ. კრაისკისთან, რომელიც სამუშაო ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც საქმიან და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთხელსაყრელი კეთილმეზობლური დამოკიდებულების განვითარების საკითხები. ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა თავისი მისწრაფება კიდევ უფრო განამტკიცონ ეს ურთიერთობა ორივე ქვეყნის ხალხთა და მშვიდობის დამკვიდრების ინტერესებისათვის.

აქტუალური საერთაშორისო პრობლემების განხილვისას გამოითქვა განზრახვა ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი ევროპაში დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებას, უშიშროების განმტკიცებასა და თანამშრომლობის განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების საკითხებს, ამასთან მხარეებმა გამოთქვეს თავიანთი ღრმა დაინტერესება ამ დარგში კონკრეტული შედეგების მიღწევით.

* * *

ამავე დღეს გაიმართა ა. ნ. კოსიგინისა და ბ. კრაისკის საუბარი, რომლის დროსაც კვლავ განიხილავდნენ საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობის საკითხებს და თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას.

საუბარს კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

* * *

სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა ბ. კრაისკის პატივსაცემად.

სადილად იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ა. ნ. კოსიგინმა და ბ. კრაისკიმ სიტყვები წარმოთქვეს.

* * *

ფედერალურმა კანცლერმა გვირგვინი მიიტანა კრემლის გალავანთან დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავზე. (საკდესი).

## საბჭოთის ახალი ამბები

□ ლენინგრადი. ქარხანა „პოლიგრაფმანქანის" კოლექტივმა გადაწყვიტა შტატის გაუფართოებლად ერთნახევარჯერ გაზარდოს პროდუქციის გამოშვება. მანქანათმშენებელთა რეზერვია დეტალების დამუშავების ჯგუფური მეთოდის ფართო გამოყენება.

მანქანათმშენებლებმა შეძლეს წვრილსერიული და ინდივიდუალური წარმოებისათვის მასობრივი წარმოების ყველა უპირატესობა მიენიჭებინათ: ჩარხების მომსახურე მუშებს აღარ უხდებათ ინსტრუმენტის ხელახალი დაყენება, რეჟიმების შეცვლა. მათი შრომის ნაყოფიერება თითქმის 25 პროცენტით გაიზარდა.

□ ალმა-ატა. დაიწყო ბალხაშისპირეთის მებრინჯეობის ზონის მეცხოველეობის დიდ ზონად გადაქცევის პროგრამის განხორციელება: მშენებლები ყველა მეურნეობაში შეუდგნენ მერძეეობის კომპლექსების აგებას, რომელთაგან თითოეული 1200-1600 სულისთვის არის გათვალისწინებული.

ბალხაშისპირეთში, რომელიც ჯერ კიდევ ისე დიდი ხნის წინ უდაბნო მხარედ ითვლებოდა, მეცხოველეობის განვითარებისათვის საუკეთესო პირობებია შექმნილი.

## ექსპერიმენტების დღე

ფრენის მართვის ცენტრი, 7 თებერვალი. (საკდესი). გრძელდება „სალიუტ-6" — „სოიუზ-27" პილოტირებული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ორბიტული ფრენა და „პროგრეს-1" სატრანსპორტო ხომალდის ავტონომიური ფრენა.

დღეს კოსმოსური კომპლექსის ეკიპაჟს სამედიცინო ექსპერიმენტების დღე ჰქონდა. იური რომანენკომ და გიორგი გრეჩკომ შეასრულეს გულ-სისხლძარღვთა სისტემის კვლევის მორიგი ციკლი. მოეწყო ექსპერიმენტი, რომლის დროსაც სწავლობდნენ კოსმონავტთა ორგანიზმში სისხლის გადანაწილებას, შეაფასეს კუნთების ცალკეული ჯგუფების მდგომარეობა, რომლებზეც უწონობის პირობებში უმნიშვნელო დატვირთვა მოდის. დღის პროგრამაში შედიოდა აგრეთვე სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტი, რათა შეესწავლათ დახშული ეკოლოგიური სისტემის პირობებში გაზის გარემოს შედგენილობის ცვლილებათა დინამიკა.

ავტონომიური ფრენის პროგრამის შესაბამისად, რამდენჯერმე გამოსცადეს „პროგრეს-1" სატრანსპორტო ხომალდის ცალკეული საბორტო სისტემები და აგრეგატები.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების მიხედვით, „სალიუტ-6" — „სოიუზ-27" პილოტირებული კომპლექსის და „პროგრეს-1" სატრანსპორტო ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ამხანაგები რომანენკო და გრეჩკო თავს კარგად გრძნობენ.



### ჩვენს დიად სამშობლოში

სვერდლოვსკი. კ. ე. ვოროშილოვის სახელობის სამგზის ორდენოსანი საწარმოო გაერთიანების „ტურბომოტორის ქარხნის" მუშებმა და სპეციალისტებმა გააჩაღეს შეჯიბრება და იკისრეს ხუთწლედის სამი წლის დავალების ვადამდე შესრულება, გეგმის გადამეტებით 20 ტურბოკომპრესორის დამზადება, 50 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება.

სურათზე: ტურბინის საამქროს საამწყობო სტენდზე აწყობენ მორიგ სათბოფიკაციო ტურბინას „ტ-100", რომელსაც სახელმწიფო ხარისხის ნიშნით უშვებენ.

ე. კოტლიაკოვის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

# სწორი გზით, ლენინური კურსით

## გამოვიდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების — „ლენინური კურსით“ — მეექვსე ტომი

საბჭოთა საზოგადოებამ დაიწყო თავისი განვითარების მეშვიდე ათწლეული. მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით მოკლე ვადაში განვლილია საუკუნეთა ტოლი გზა: აშენდა განვითარებული, მომწიფებული სოციალიზმი, ჩამოყალიბდა ჰუმანური საბჭოთა ცხოვრების წესი, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების ყოველმხრივ აყვავებას.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ განვლილი 60 წლის შედეგების ღრმა დახასიათება, მისი გავლენა კაცობრიობის ბედზე, სახელოვანი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნიზმის გზით წარმატებით მიმავალი საბჭოთა ხალხის ალმშენებლობითი შრომისა და ბრძოლის კოლოსალური გამოცდილების განზოგადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური საკითხების ანალიზი, განვითარებული სოციალიზმის არსებულად რთული და მასშტაბური ამოცანებისა და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრა — ასეთი შინაარსი აქვს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების კრებულს — „ლენინური კურსით“, რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა. ტომში შესული შრომები გამოირჩევა მეცნიერული, [illegible]

თობლიობის გარდაქმნა სოციალიზმისათვის შინაგანად დამახასიათებელ კოლექტივისტურ საწყისებზე. ეს უფართოეს სარბიელს აძლევს სოციალიზმის კანონების მოქმედებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მის უპირატესობათა გამოვლენას. აქედან გამომდინარეობს სოციალური სისტემის ორგანული მთლიანობა და დინამიზმი, მისი პოლიტიკური სტაბილურობა, ურღვევი შინაგანი ერთიანობა.

განვითარებული სოციალიზმის შესახებ მოძღვრება სრულიად სამართლიანად შეგვიძლია ჩავაყენოთ მეცნიერული კომუნიზმის ლარგის უდიდეს თეორიულ ალმოჩენების რიგში. რადგან, როგორც ფ. ე. ენგელსი წერს, კომუნისტურ საზოგადოებაზე გადასვლის საფეხურების საკითხი „უძნელესია ყველა არსებულ საკითხთა შორის...“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 38. გვ. 108, რუს.).

ამ მოძღვრებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ იგი კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილების თეორიული ბაზაა, სამეურნეო, სოციალური და კულტურული მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის მეცნიერული საფუძველი და იდეურ-პოლიტიკური იარაღია.

[illegible]

### 1.

[illegible]

### 2.

[illegible]

### 3.

[illegible]

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს განვითარებული სოციალიზმი განვიხილოთ როგორც პერიოდი, როცა მთავრდება საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელი ერ- [illegible]

[illegible] შრომისა და კოლმეურნეობისადმი, შრომითი კოლექტივებისადმი, ქალაქებისა და რაიონებისადმი, ოლქებისა და რესპუბლიკებისადმი, რომლებმაც განსაკუთრებული შე- [illegible]

[illegible] თა მართვაში მათი სულ უფრო ფართო მონაწილეობით. პარტია, რომელიც სტიმულს აძლევს დემოკრატიის განვითარებას, თვითონაც სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპების შესაბამისად [illegible]

[illegible] ვითარების წინააღმდეგობრიობა. განუხრელად იზრდება მშვიდობის განმტკიცების შესაძლებლობანი. ამასთანავე მატულობს საფრთხეც, რომელიც მას ექმნება. „საერთა- [illegible]

[illegible] სადმი, ახალი, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებისადმი ხელმძღვანელობისათვის.

„პრავდა“, 3/II.

---

# დაე იყოს მშვიდობა!

### ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მხედრული მოგონებები მშვიდობიანი შრომისათვის აღაფრთოვანებს თითოეულ საბჭოთა ადამიანს

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებებმა „მცირე მიწამ“ დიდი გამოხმაურება პოვა. ეს გასაგებიც არის. დიდი სამამულო ომის ეპიზოდებზე რომ მოგვითხრობს, საბჭოთა ადამიანების გმირობის, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის მაგალითებს რომ გვიხატავს. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის და საერთოდ ადამიანებთან პრაქტიკული მუშაობის თავის უდიდეს გამოცდილებას გვიზიარებს. მოგონებები მცირემიწელთა საგმირო საქმეებზე დიდი ჰუმანიზმით, ადამიანისადმი სიყვარულით და კაცობრიობის ნათელ მომავალზე ზრუნვით არის გამთბარი.

მართალია, „მცირე მიწის“ ყოველი სტრიქონი ომს ეძღვნება, მაგრამ მათში დღევანდელობა სუნთქავს, დღევანდელი სატკივარით თუ სიხარულით ჩაგვაფიქრებს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა გამოხმაურებებს.

## კომუნისტი ხელმძღვანელის ნათელი მაგალითი

[illegible]

ლ. მგალობლიშვილი.

## ხალხის საბედნიეროდ

[illegible]

უ. ჯაფარიძე.

## პარტიული სიტყვის ძალა

[illegible] ამ მოგონებებში ამხანაგმა ბრეჟნევმა პარტიულ-ორგანიზატორული, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდიდარი გამოცდილება დაგვიზიარა. გვიჩვენა, თუ რა დიდი ძალა აქვს პარტიულ სიტყვას. მართალია, ამხანაგ ბრეჟნევის მო- [illegible] ... დღესაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მაზნებარი პროპაგანდისტულ სიტყვას. ონარიანად მოწყობილ მიტინგებს, თემების სწორად შერჩევას, და ვფიქრობთ, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებები დიდ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს ჩვენს შემდგომ მუშაობაში.

უ. ხინჩაგაძე,
პროპაგანდისტი, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროს უფროსი.

---

## მთავრობის ჯილდოების გადაცემა

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში მთავრობის ჯილდოები და სიგელები საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ გადაეცათ მშენებლებს, კვების მრეწველობის მუშაკებს, კულტურის მოღვაწეებს, საბჭოთა არმიის პოლიტმუშაკებს, საბჭოთა, პროფკავშირულ, ხაფინანსო, სამეურნეო ორგანოების მუშაკებს და სხვებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ჯილდოების გადაცემისას ... [illegible]

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. [illegible] გილაშვილმა დაჯილდოებულთა გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები. სიგელები საქართველოს სსრ ღვაწლმოსილი დამსახურებული მუშაკის, დამსახურებული მშენებლის, დამსახურებული ინჟინრის, დამსახურებული ეკონომისტის, დამსახურებული მეღვინის, დამსახურებული აგრონომის. მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ. მან გულთბილად მილოცა დაჯილდოებულთ და წარმატებები უსურვა მათ მუშაობაში. (საქინფორმი).

## სოფლის მეურნეობის მთავარი მიმართულება:
# სპეციალიზაცია და კონცენტრაცია!

**საზოგადოების** განვითარების დღევანდელ ეტაპზე, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის გავლენით, არსებითად შეიცვალა სოფლის მეურნეობის წარმოება. თანამედროვე სოფლის მეურნეობა ის აღარ არის, რაც ამ 40-50 წლის წინათ იყო. ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ელექტრონიკის, კიბერნეტიკის, აგროტექნიკის, სელექციის, ზოოვეტერინარიის, მექანიზაციის, ქიმიისა და სხვა მონათესავე მეცნიერებათა განვითარების შედეგად სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა სოფლის მეურნეობაში გამოიწვია მთელი რიგი ბიოლოგიური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ცვლილებები.

ასეთი ცვლილებების შედეგად შეიქმნა ახალი სიტუაცია, რომელმაც თავის მხრივ გარკვეული ცვლილებები შეიტანა სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და ვაჭრობის ურთიერთდამოკიდებულების საქმეში.

ზემოთ აღნიშნული და ბევრი სხვა ხელშემწყობი ობიექტური პირობები გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ. **სასიხარულოა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მორიგ მეცხრე პლენუმზე ამ საკითხს იხილავს, ხოლო მანამდე, ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, რესპუბლიკის საზოგადოებრიობას ეთათბირება ამ პრობლემურ საკითხზე.**

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია სასაქონლო წარმოების დიდი სპეციალიზებული ზონები. ასეთ ზონებში შემავალ მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შორის დასახელებულია ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების ზონები.

როგორც ვიცით, ჩაი, თავისი ბუნებით, წარმოების სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ადამიანთა მიზანდასახული შრომის შედეგად მიღებული პროდუქტია, მაგრამ, ჩვენს პირობებში ამ პროცესის მთლიანი რგოლი, გარკვეულ გარემოებათა გამო, დღემდე მთლიანი ვერ არის.

ამჟამად, დამკვიდრებული წესის მიხედვით, ნედლეულის წარმოება თავმოყრილია ერთი უწყების — სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელში. ეს მეურნეობები ცდილობენ დაამზადონ რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ნედლეული და ჩააბარონ იგი მეორე უწყების — კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის პირველადი გადამუშავების ჩაის ფაბრიკებს. ამიტომ ისინი პასუხს არ აგებენ იმისათვის, თუ რა ბედი ეწევა ამ ნედლეულიდან დამზადებულ ნახევარფაბრიკატს.

თავის მხრივ ჩაის პირველადი გადამუშავების საწარმოები ასევე ცდილობენ, რაც შეიძლება მალე განთავისუფლდნენ მათ მიერ დამზადებული ნახევარფაბრიკატებისაგან, გადაუგზავნონ იგი ჩაის საწონ ფაბრიკებს, სადაც მიმდინარეობს ამ ნახევარფაბრიკატის დაფასოება, მისთვის სასაქონლო სახის მიცემა, რის შემდეგ იგი სარეალიზაციოდ ბარდება სავაჭრო ორგანიზაციებს.

თავის მხრივ სავაჭრო ბაზები ჩაის მზა პროდუქციას აწვდიან სავაჭრო ქსელსა და კვების ობიექტებს, რომელთა საშუალებით ჩაის მზა პროდუქცია მიდის მომხმარებლამდე.

ჩაის მოძრაობის ამ გრძელი გზის დასასრულს არცთუ იშვიათად მომხმარებელი ღებულობს უხარისხო პროდუქციას, რისთვისაც კონკრეტულ პასუხისმგებლობას არც ერთი დასახელებული უწყება არ კისრულობს.

**ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებებმა: საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკამ, კოლმეურნეობა-ფაბრიკამ, რომლებმაც ჩაის წარმოების ერთი მთლიანი პროცესის განუყოფელი რგოლი უნდა გაამთლიანონ, თავიანთ ხელში უნდა მოუყარონ თავი ჩაის ნედლეულის წარმოებას, მისი პირველადი გადამუშავებისა და დაფასოების საქმეს, ბოლო მოუღონ უწყებრივ დაქსაქსულობას მატერიალური წარმოების ამ მეტად ფაქიზ სფეროში.**

პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ საჭიროა დიფერენცირებულად მივუდგეთ და ეტაპობრივად გადავწყვიტოთ სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციასთან პრაქტიკულად დაკავშირებული ყველა საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება იქვე ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის და კონცენტრაციის განვითარებისათვის საჭირო ეკონომიკური პირობების მომწიფება ქვეყნის სხვადასხვა რაიონსა და წარმოების დარგებში ერთდროულად არ მიმდინარეობს. მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში სამეურნეობათშორისო კოოპერაციის პარალელურად უკვე ახლა წარმატებით ვითარდება აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაცია, ნაყოფიერად ფუნქციონირებენ ისეთი საწარმოები და გაერთიანებები, სადაც ორგანულად არის შეხამებული პროდუქტების წარმოება, შენახვა და სამრეწველო გადამუშავება.

ამრიგად, ამ პროცესის განვითარების ეტაპები სხვადასხვა ზონაში სხვადასხვანაირად მიმდინარეობს. იგი ან დროით ემთხვევა ერთმანეთს და პარალელურად მიმდინარეობს, ან, სადაც საამისო პირობები ჯერ მომწიფებული არ არის, ეს პროცესი თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩაი და ციტრუსოვანი კულტურები მიკუთვნებულია დიდ სპეციალიზებულ ზონებს, სადაც სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარებისათვის საჭირო ეკონომიკური პირობები მომწიფებულად უნდა მივიჩნიოთ. ამრიგად, ჩვენი მოსაზრებით, სუბტროპიკული ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეობათშორისო კოოპერაციის, სახსრების, მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების გაერთიანების პარალელურად უკვე ახლა არსებობს იმის პირობები, რომ ჩაის, ციტრუსისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების წარმოება ორგანულად შეერწყას ამ სახის პროდუქტების გადამამუშავებელ მრეწველობას, შეიქმნას აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებები, საბჭოთა მეურნეობა-ქარხნები, კოლმეურნეობა-ქარხნები, რაც შეიძლება მოეწყოს როგორც არსებული გადამამუშავებელი სამრეწველო ობიექტების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის გადაცემის, ასევე ინტეგრირების გზით, ან კიდევ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობის საშუალებით. ყოველ ასეთ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო და ნედლეულის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები ერთად უნდა იყოს განლაგებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არის ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობები. დამახასიათებელია, რომ სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე მეურნეობათა სპეციალიზაცია და კონცენტრაცია ეკონომიკურად სხვადასხვა დონის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობას (კოლმეურნეობას თუ საბჭოთა მეურნეობას), როგორც წვრილს, ასევე მსხვილს, თანაბარ შესაძლებლობებსა და სამეურნეო დამოუკიდებლობის პირობებს უქმნის. ასეთი ვითარება მათ საშუალებას აძლევს თანმიმდევრულად გადავიდნენ ინდუსტრიულ რელსებზე, მაღალინტენსიურ სპეციალიზებულ წარმოებაზე და უზრუნველყონ გაფართოებული კვლავწარმოების ტემპი.

**და ბოლოს, იბადება კითხვა — რომელ უწყებაში უნდა შედიოდეს აგროსამრეწველო გაერთიანებანი, სოფლის მეურნეობისა თუ კვების მრეწველობის სამინისტროში?.**

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ყველა შემთხვევაში, სადაც საამისო პირობები მომზადებულია, აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებები ადასტურებენ თავიანთ დიდ უპირატესობას. ამაზე მეტყველებს ჩვენი ქვეყნის პრაქტიკა, რომლის საილუსტრაციოდ, შესანიშნავი მაგალითები მოიყვანა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში.

**მოლდავეთში, მაგალითად, ასეთი გაერთიანებები მეტწილად კვების მრეწველობის სამინისტროს ეკუთვნის, სადაც წარმატებით წყვეტენ თავიანთ ამოცანებს. მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში ასეთი გაერთიანებები სოფლის მეურნეობის სამინისტროში შედის, სადაც კიდევ უფრო მეტ წარმატებებს აღწევენ.**

საერთოდ, ჩვენი აზრით, ეს საკითხი განხილულ უნდა იქნეს ფაქტიურად არსებული მდგომარეობის ყოველმხრივი გაანალიზების პოზიციებიდან.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებათა ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანია სოფლის მეურნეობის ნედლეულისა და პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობის ერთმანეთთან მიახლოება, რათა თავიდან ავიცილოთ დიდი დანაკარგები და უნაყოფო სატრანსპორტო ხარჯები.

ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენი აზრით, ნათელი უნდა იყოს, რომ აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება უნდა მოეწყოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში.

**ვ. ჯაყელი,**
ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

## ნედლეული მწარმოებელმა გადაამუშაოს

## გავითვალისწინოთ ბუნებრივი პირობები

**განვითარებული** სოციალიზმის პირობებში კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკა ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის ორგანული გაგრძელება და მისი შემოქმედებითი განვითარებაა. იგი მიზნად ისახავს მკვეთრად განავითაროთ სოფლად საწარმოო ძალები და სრულყოთ საწარმოო ურთიერთობა.

კომუნისტური პარტია თანამედროვე პირობებში ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავების კურსს, ამასთან ერთად მკაფიოდ აღნიშნავს, რომ ამ საქმეში არ უნდა ავჩქარდეთ, გავითვალისწინოთ ადგილობრივი კონკრეტული პირობები.

მართალია, საქართველოში უკეთესი აგროკლიმატური პირობებია მემინდვრეობისა და მემცენარეობის ყველა კულტურის წარმოებისათვის, მაგრამ სავარგული მიწის სიმცირისა და მკვეთრად დანაწევრებული მთიანი რელიეფის გამო სასოფლო-სამეურნეო წარმოების თითოეული დარგის განვითარება ლიმიტირებულია.

თუ მემცენარეობასა და მემინდვრეობაში სავარგული მიწის რელიეფი და მისი მკვეთრი დანაწევრება ახდენს უარყოფით გავლენას მექანიზაციის დონეზე, მეცხოველეობაში ამის მიზეზი ფერმების სიმცირეა. მეცხოველეობის პატარა ფერმების პირობებში, ცხადია, შეუძლებელია მანქანებისა და აგრეგატების მწარმოებლობის მაქსიმალური გადიდება. მეცხოველეობაში მექანიზაციის პრობლემების გადაწყვეტა უშუალოდ დაკავშირებულია ფერმების სიდიდესთან, მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციასთან, მაგრამ მისი განხორციელების ბუნებრივ-საწარმოო პირობები რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არა აქვს.

მართალია, უკანასკნელ წლებში ფართო სარბიელი შეექმნა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემების მეცნიერულ საფუძველზე გადაწყვეტას, მაგრამ ზოგიერთ რაიონში კვლავ მცდარ ორიენტაციას ადგანან და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის საბაბით ყოველ ღონეს ხმარობენ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები გაამსხვილონ და შექმნან საბჭოთა მეურნეობები. ამგვარი ტენდენციები განსაკუთრებით შეინიშნება მთის რაიონებში. როცა ამას შვრებიან, ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელები ვერ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ მეურნეობის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკოლმეურნეო ფორმა კი არ არის, არამედ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომელთა გაუთვალისწინებლობისა და კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნის დროს არ უნდა მოველოდეთ სასურველ შედეგებს.

ჩვენი აზრით, სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების შექმნა უნდა მოხდეს მოწინავე კოლმეურნეობების ბაზაზე, სადაც მომწიფდა ეკონომიკური პირობები სახელმწიფო მეურნეობების შესაქმნელად, განსაკუთრებით კი რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში და დაბებში. მაგალითად, ქ. მახარაძის მოსახლეობის 13 პროცენტი კოლმეურნეები არიან. ასეთი მდგომარეობაა რაიონული დაქვემდებარების სხვა ქალაქებშიც. საქართველოში მოძმე რესპუბლიკებისაგან განსხვავებით ძალზე დიდია ქალაქის მოსახლეობაში კოლმეურნე გლეხობის ხვედრითი წილი, რაც ძირითადად განპირობებულია რესპუბლიკის რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში და დაბებში მშრომელთა დასაქმების საკოლმეურნეო ფორმის არსებობით, ეს კი იწვევს ქალაქის მოსახლეობის მკვეთრ დიფერენციაციას შრომისა და საყოფაცხოვრებო წყაროების თვალსაზრისით და მნიშვნელოვან სიძნელეებს ქმნის.

ჩვენი აზრით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის კურსის განხორციელების ძირითად ფორმად უნდა მივიჩნიოთ ადმინისტრაციული რაიონების ფარგლებში დარგობრივი სამეურნეობათშორისო გაერთიანების ფორმა, რომელიც მთლიანად შეესაბამება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საქართველოში არსებულ ბუნებრივ საწარმოო პირობებს და სასოფლო რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე დონეს.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს რაიონებს არა აქვთ ხორბლეულის წარმოებისათვის სათანადო ბუნებრივ-საწარმოო პირობები, მაგრამ დღემდე როგორც მთის, ისე ბარის რაიონებში მნიშვნელოვან ფართობზე პურეულს თესავენ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აქ დიდია შრომითი დანახარჯები ხორბლის წარმოებაზე, ამასთან მიღებული მოსავლის დიდი ნაწილი უხარისხო და არასტანდარტულია, არ აქვს სასაქონლო ღირებულება. თანამედროვე პირობებში, როცა შეიქმნა პურეულით მოსახლეობის უზრუნველყოფის სტაბილური სახელმწიფო გარანტია, ჩვენი აზრით, დასავლეთ საქართველოს რაიონებმა ხელი უნდა აიღონ პურეულის წარმოებაზე და მისი სათესი ფართობები გამოიყენონ როგორც ვენახის ფართობების ზრდისათვის, ისე მეცხოველეობის საკვები ბაზის გასამტკიცებლად უხვმოსავლიანი საკვები კულტურების წარმოებისათვის.

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებს არა აქვთ სათანადო ბუნებრივი საწარმოო პირობები მეცხოველეობის განვითარებისათვის, მაგრამ აქ მეცხოველეობის პროდუქტებზე საშინაო მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამოცანა მას განვითარებას აუცილებელს ხდის. ჩვენი აზრით, სუბტროპიკულ რაიონებში მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები მკვეთრად ლიმიტირებულია და ამ ზონის თითოეულ კოლმეურნეობაში მისი სპეციალიზაცია უნდა გამოირიცხოს. ამ რაიონებში მეცხოველეობის განვითარების ერთადერთ გზად უნდა მივიჩნიოთ სამეურნეობათშორისო გაერთიანების ფორმა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

დოცენტი
**ე. ქვათაძე,**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

კრიტიკის ქმედითობა

## „კოლხეთის დილემა"

„კომუნისტის" რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ხ. ქაჯაია.

**გაზეთ** „კომუნისტის" ფურცლებზე გამოქვეყნდა მწერალ ამირან აბშილავას მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევი „კოლხეთის დილემა", სადაც ავტორი ეხებოდა კოლხეთის მიწების ათვისების საჭირბოროტო პრობლემებს და ამასთანავე აკრიტიკებდა მელიორატორთა მუშაობის ნაკლოვანებებს.

ნარკვევი განხილულ იქნა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კოლეგიისა და ტრესტ „კოლხეთმშენის" გაფართოებულ სხდომებზე. ადგილებზე შემოწმდა და დადგინდა ზოგიერთი ობიექტის გაჭიანურებული, უგერგილო მშენებლობის ფაქტები, მათი დაბალი ხარისხი.

დარღვევებისა და უწესრიგობის აღსაკვეთად სამინისტრომ და ტრესტ „კოლხეთმშენმა" მიიღო მკაცრი ადმინისტრაციული ზომები:

მოვალეობის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის, სუსტი მომთხოვნელობისათვის, შრომის ორგანიზაციისადმი არადამაკმაყოფილებელი, უფხო ხელმძღვანელობისათვის, შესრულებულ სამუშაოთა დაბალი ხარისხისათვის თანამდებობიდან გათავისუფლებული არიან „კოლხეთმშენის" № 3 მოძრავი-მექანიზებული კოლონის მთავარი ინჟინერი ვ. ზენაიშვილი და სამუშაოთა მწარმოებელი ი. ქინქლაძე; კოლონის უფროსი ზ. ცინცაბაძე უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებს, მაგრამ გაითვალისწინეს რა მელიორაციის სისტემაში მისი ხანგრძლივი მუშაობა, იგი სამი თვით ჩამოქვეითებულია მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

მექანიკური და ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების დროულად შეუსრულებლობისათვის № 7 მოძრავი-მექანიზებული კოლონის მთავარ ინჟინერს ო. ხუხუას გამოეცხადა საყვედური.

პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისრა ზ. ცინცაბაძეს, რათა აღმოიფხვრას არსებული ხარვეზები, თავი მოაბას უგერგილოდ შესრულებულ, დაუმთავრებელ სამუშაოებს, თესვის დაწყებამდე უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული ფართობების სახელმწიფო მიმღები კომისიისათვის სათანადო აქტით ჩაბარება.

დაუყოვნებლივ დაიწყოს დრენის ჩალაგება და დაჩქარებით დამთავრდეს სატუმბი სადგურის მშენებლობა.

№ 7 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსს გ. ხაინდრავას დაევალა 1978 წლის 1 მარტისათვის დაამთავროს სატუმბი სადგურის მონტაჟი, ამ დროისათვის ჩატარდეს მისი გამოცდაც.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების კონტროლი დაევალათ ტრესტ „კოლხეთმშენის" მმართველის მოვალეობის შემსრულებელს ვ. ხურცილავას და საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსს გ. ანთაძეს.

საქდესი

# მსოფლიოს ამბები

ტელეტაიპი გადმოსცემს

მოძმე პარტიებში

## საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის

**ჰანოი, 6 თებერვალი. (საქდესი).** ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა დადგენილება ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მომავალ საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებით. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას, ყველა კომუნისტს აქტიურად დარაზმონ მოძრაობა კონსტიტუციის პროექტის მომავალ საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებით. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას, ყველა კომუნისტს აქტიურად დარაზმონ მოსახლეობა კონსტიტუციის პროექტის განხილვაში მონაწილეობისათვის.

გათვალისწინებულია განხილვა დამთავრდეს მიმდინარე წლის შუა თვეებში. კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელი კომისია შეისწავლის შემოსულ წინადადებებს, შეიტანს დამატებებს ძირითადი კანონის პროექტში და განსახილველად წარუდგენს მას ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნულ კრებას.

ეს იქნება ვიეტნამის სახელმწიფოს მესამე კონსტიტუცია, ნათქვამია დადგენილებაში. ჩვენი ხალხის სახელოვანი გამარჯვებით ხანგრძლივ, ძნელ და მამაცურ ბრძოლაში დამოუკიდებელი, ერთიანი, სოციალისტური ვიეტნამის განვითარების ახალი ერა დაიწყო. ამ ეტაპზე საჭიროა ახალი ძირითადი კანონი — ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია. მასში აისახება სოციალისტური რევოლუციის ის ამოცანები და პოლიტიკური ხაზი, რომლებიც ვიეტნამის კომპარტიის მეოთხე ყრილობამ განსაზღვრა.

ვიეტნამის ახალი კონსტიტუცია იქნება რევოლუციური მონაპოვრების შედეგიც და სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის კანონიც.

## დიქტატორის უხეში ფარსი

**სან-ხოსე, 6 თებერვალი. (საქდესი).** თავით ფეხამდე შეიარაღებული ჯარისკაცები, რომლებიც ქუჩებს პატრულობენ, ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები, მასობრივი ალყები, ჩხრეკა-დაპატიმრება მუშათა კვარტალებში — ასეთ ვითარებაში გაიმართა მუნიციპალური არჩევნები ნიკარაგუაში. კენჭისსაყრელ სიებში შეიყვანეს მხოლოდ მმართველი ლიბერალური ნაციონალისტური პარტიის კანდიდატები. ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ— დაახლოებით 80 პროცენტმა უარი განაცხადა ამ უხეშ ფარსში მონაწილეობაზე, რომელიც დიქტატორმა სომოსამ მოაწყო, რათა შეცდომაში შეეყვანა საერთაშორისო საზოგადოებრიობა და შეექმნა ქვეყანაში მოჩვენებითი „ნორმალიზაციის" ვითარება, რომელიც არნახული მასშტაბის

### მუნიციპალური არჩევნები ნიკარაგუაში

საყოველთაო გაფიცვამ მოიცვა.

ნიკარაგუაში მღელვარება დაიწყო 10 იანვარს, როცა მანაგუაში მოკლეს ოპოზიციის ლიდერი, გაზეთ „პრენსას" დირექტორი პ. ხოაკინ ჩამორო. ამ დანაშაულმა ხალხის დიდი რისხვა გამოიწვია.

ნიკარაგუელები მოითხოვენ, რომ სომოსა დაუყოვნებლივ გადადგეს პრეზიდენტისა და ეროვნული გვარდიის მთავარსარდლის პოსტიდან, რესპუბლიკაში აღდგეს მმართველობის დემოკრატიული ფორმები.

დიქტატორმა, რომელიც ცდილობს ჩაახშოს ხალხის გამოსვლები, საგანგებო წესები გამოაცხადა, დახოცილი და დაჭრილია ასობით პატრიოტი, მთავრობის საწინააღმდეგო მანიფესტაციების და მიტინგების ბევრი მონაწილე დაპატიმრებულია.

სისხლიანი ტერორის მიუხედავად, ნიკარაგუელები მტკიცედ განაგრძობენ ბრძოლას საძულველი დიქტატორის წინააღმდეგ, რომელიც ძალაუფლებას მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერით ინარჩუნებს. უკანასკნელ დღეებში მანაგუასა და სხვა ქალაქებში შეიარაღებული შეტაკებები გაიმართა ჯარისკაცებსა და სანდინოს სახელობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის პარტიზანულ რაზმებს შორის. მთელს ქვეყანაში გრძელდება საპროტესტო დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენიც სომოსას დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვენ.

## პეკინის ორპირობა

**მაშინ** როცა ალჟირში მიმდინარეობდა მთელი რიგი არაბული ქვეყნებისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელთა თათბირი, სადაც ისინი იხილავდნენ ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი მოწესრიგებისათვის ბრძოლაში არაბული ქვეყნების სოლიდარობის განმტკიცების საკითხებს, ეგვიპტის პრეზიდენტი ა. სადათი, როგორც ვიუწყებოდით, ვაშინგტონს გაფრინდა. ამავე დროს კაიროდან სულ სხვა მიმართულებით წავიდა სადათის სპეციალური წარმომადგენელი, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ჰასან ათ-თუჰამი. იგი პეკინს გაფრინდა.

შეერთებულ შტატებში სადათის ვიზიტის მიზანი ცნობილია. არავის ეჭვს არ იწვევს აგრეთვე ათ-თუჰამის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გამგზავრების მიზანი. „ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის პეკინში გამგზავრება, იუწყება როიტერის სააგენტო, — დაკავშირებულია პრეზიდენტ სადათის ახალ დიპლომატიურ კამპანიასთან, რომ განმარტოს თავისი პოზიცია ისრაელთან მოწესრიგების გარშემო".

მერე რა პოზიცია უკავია პეკინს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის საკითხში? ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში განუწყვეტლივ გრძელდება პროპაგანდისტული ლაყბობა იმის შესახებ, რომ ჩინეთი „მტკიცედ ადგას მაო ძე-დუნის საგარეოპოლიტიკურ გეზს და არაბი ხალხების მხარეზეა". სწორედ ეს განაცხადა პეკინში 2 თებერვალს სადათის ემისრის პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ ლი სიან-ნიანმა.

მაგრამ სიტყვები „არაბ ხალხებთან სოლიდარობის" შესახებ მხოლოდ ლიტონი სიტყვებია. მაოისტთა ნამდვილი პოზიცია კი სრულიად ეწინააღმდეგება მათ მაღალფარდოვან ფრაზებს.

ბევრი რამ მოწმობს იმას, რომ მაოისტები სავსებით იწონებენ ისრაელისა და ეგვიპტის სეპარატულ გარიგებას, რომლის წინააღმდეგ გადაჭრით გამოდიან პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, სირია, ალჟირი, ლიბია, და სხვა არაბული ქვეყნები. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა ფრიად დამაჯერებელი და ავტორიტეტული განცხადებანი კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ჯემისონისა, რომელიც ახლახან იყო პეკინში, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან. „ჩინეთი, — განაცხადა ჯემისონმა, როცა ჟურნალისტებს უამბობდა ამ მოლაპარაკების შესახებ, — მხარს უჭერს სადათის ინიციატივას და იწონებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში".

უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ პრაქტიკულად არ არის საერთაშორისო პოლიტიკის არც ერთი სერიოზული საკითხი, რომელშიც პეკინელი ლიდერები არ უკავშირდებოდნენ იმპერიალისტურ და რეაქციულ ძალებს.

**ვ. გონჩაროვი,**
საქდესის პოლიტიკური მიმომხილველი.

## მოკლედ ყოველი მხრიდან

### სესია გაიხსნა

● **ჟენევა.** ჟენევის ერთა სასახლეში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის მორიგი 34-ე სესია. მის დღის წესრიგში შედის ოცდაათამდე საკითხი. პირველ რიგში განიხილავენ ადამიანის უფლებათა დარღვევებს ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე, მათ შორის პალესტინაში, ადამიანის უფლებათა გათელვას ჩილეში. სესიის მუშაობაში, რომელიც 10 მარტამდე გასტანს, დიდი ადგილი დაეთმობა აფრიკის სამხრეთ ნაწილში აპარტეიდთან და ადამიანის უფლებათა დარღვევებთან ბრძოლის საკითხს.

### მოსალაპარაკებლად პარიზში

● **პარიზი.** საფრანგეთის დედაქალაქში ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰ. შმიდტი, რათა ორდღიანი კონსულტაციები გამართოს უმაღლეს დონეზე.

„საერთო ბაზრისა" და ნატოს წევრი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური სიძნელენი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სავალუტო-საფინანსო ღონისძიებანი, რომელიც ცდილობს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ხარჯზე შეამციროს თავისი გიგანტური სავაჭრო დეფიციტი, — ასეთი იქნება, მიმომხილველთა აზრით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დესტენის მოლაპარაკების ძირითადი შინაარსი.

### სახიფათო ინციდენტი

**ნიუ-იორკი, 6 თებერვალი. (საქდესი).** ამერიკის ჯორჯიის შტატის რობინსის სამხედრო-საჰაერო ბაზაში სახიფათო ინციდენტი მოხდა.

ასაფრენად გამზადებულ ბომბდამშენში „ბ-52", რომელსაც ბირთვულმუხტიანი რაკეტები მიჰქონდა, აღმოაჩინეს, რომ ერთი მათგანი დაზიანებული იყო. გაზეთი „ატლანტა ჯორნელ-კონსტიტუშენი" სამხედრო წყაროებს იმოწმებს და წერს, რომ უცნობმა პირებმა დამცავი სამარჯვები მოხსნეს ბომბჩამოსაყრელ მექანიზმებს, დააზიანეს ბომბდამშენის ელექტრული და სხვა მოწყობილობა.

ამჟამად სტრატეგიული ავიაციის სარდლობა ინციდენტს იძიებს.

## ავბედითი კავშირი

### ისრაელის ფინანსთა მინისტრის ვოიაჟი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში

**რომი, 6 თებერვალი. (საქდესი).** ისრაელის ფინანსთა მინისტრი ს. ერლიხი ვიზიტად გაემგზავრა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. თუმცა ეს ისრაელის მთავრობის წევრის რასისტულ სახელმწიფოში პირველი ოფიციალური ვიზიტია, ორივე ქვეყანას დიდი ხანია ძალზედ მჭიდრო ურთიერთობა აქვს, რომელიც სამხედრო თანამშრომლობას ემყარება. 1967 წლის აგრესიის დაწყებისთანავე, როცა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ ისრაელის მიმართ „კეთილმოსურნე ნეიტრალიტეტის" პოზიცია დაიკავა, ტელ-ავივმა დაიწყო სამხრეთ აფრიკის ჯარების წვრთნა და გადასცემდა მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების წინააღმდეგ ბრძოლის „გამოცდილებას".

განვლილ წლებში ისრაელმა ფორსტერის რეჟიმი მოამარაგა სასროლი იარაღის დიდი პარტიებით, სადარაჯო გემებით, რაკეტებით, თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობით, თვითმფრინავებით „არავა" და „კფირი".

ავბედითი ხასიათი აქვს ტელ-ავივისა და პრეტორიის თანამშრომლობას ატომური იარაღის შექმნის დარგში. ამერიკის პრესის მონაცემებით, ისრაელი აპირებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას შესაბამისი ტექნოლოგია მიაწოდოს სტრატეგიული ნედლეულის სანაცვლოდ. სწორედ ამ „დელიკატურ" საკითხს განიხილავენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ერლიხის ვიზიტის დროს. მოლაპარაკების დროს განიხილავენ აგრეთვე იმ ორმხრივი სავაჭრო ბრუნვის შემდგომ გაფართოებას, რომელიც უკანასკნელ 15 წელიწადში თითქმის 40-ჯერ გაიზარდა და 120 მილიონ დოლარს მიაღწია.

ისრაელის ხელმძღვანელთა კავშირს სამხრეთ აფრიკის რასისტებთან განსაზღვრავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ამოცანები და კაცთმოძულე იდეოლოგია, რომელიც საფუძვლად უდევს ორივე ქვეყნის სახელმწიფო წყობილებას. სამხრეთ აფრიკაში ერლიხის ვოიაჟი ისრაელის დემოკრატიული წრეების პროტესტს იწვევს.

**ამერიკის შეერთებული შტატების 1979 საფინანსო წლის ფედერალური ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს სამხედრო ხარჯების ზრდას 126 მილიარდ დოლარამდე. მაშინ როცა აუცილებელი სოციალური საჭიროებისათვის ასიგნებანი ფაქტიურად გაყინულია და მცირდება კიდეც. (გაზეთებიდან).**

კარიკატურისტის კომენტარი




სახიფათო სიჩქარე.

გ. ლომიძის ნახატი.

## სამხედრო მეთვალყურენი

**ევროპის** უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის დებულებების შესაბამისად საბჭოთა კავშირმა ჰელსინკის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებს გაუგზავნა უწყებები ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარების წვრთნის შესახებ, რომელიც ეწყობა „ბერეზინის" სახელწოდებით.

6 თებერვალს მინსკში ჩამოვიდნენ ბელგიის სამეფოს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ნიდერლანდის სამეფოს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და შვეიცარიის კონფედერაციის სამხედრო მეთვალყურენი.

(საქდესი).

საერთაშორისო შენიშვნები

## ჯერი დასავლეთზეა

გასულ კვირას ჟენევის ერთა სასახლეში გაიხსნა განიარაღების კომიტეტის მორიგი, საგაზაფხულო სესია, რომელშიც 30 სახელმწიფოს წარმომადგენლები მონაწილეობენ. სესიაზე განიხილავენ კაცობრიობისათვის ისეთი საარსებო მნიშვნელობის პრობლემებს, როგორიცაა გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტა, ქიმიური იარაღის აკრძალვა, ახალ სახეობათა და სისტემათა მასობრივი მოსპობის იარაღის შემუშავებისა და წარმოების აკრძალვა.

ახლანდელი სესიის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ იგი მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალი მაის-ივნისის სპეციალური სესიის წინ, რომელიც, სსრ კავშირისა და ბევრი სხვა ქვეყნის აზრით, განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის პროლოგი იქნება.

მოლაპარაკება განიარაღების სხვადასხვა ასპექტის თაობაზე ახლა ერთდროულად წარმოებს რამდენიმე საერთაშორისო ფორუმზე და პრაქტიკულად მოიცავს ყველა პრობლემას, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას, რათა მივაღწიოთ ძირეულ შემობრუნებას გამალებული შეიარაღებიდან შეიარაღებას შეზღუდვისა და შემცირებისაკენ. ვენაში განახლდა კამათი ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ორმხრივი შემცირების შესახებ. ჟენევაში მზადდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი შეთანხმება შეტევითი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ და უკვე არსებითი პროგრესიც არის მიღწეული. აქვე, ჟენევაში, სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი ეძებენ ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულების დადების გზებს. სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ბჭობენ აგრეთვე ინდოეთის ოკეანეში სამხედრო აქტიურობის შემცირების პრობლემაზე.

განიარაღების საკითხებზე მიმდინარე ყველა მოლაპარაკებაში ამ საკითხთა დაყენების ინიციატივა, როგორც წესი, საბჭოთა კავშირს ეკუთვნის. განიარაღების კომიტეტის ახლანდელი სესიის მუშაობაში უდავოდ აისახება წინადადებები, რომლებიც 1977 წლის ნოემბერ-დეკემბერში წამოაყენა საბჭოთა კავშირის სახელით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა. ეს დიდმნიშვნელოვანი წინადადებები ეხება ბირთვული იარაღის წარმოების შეწყვეტის, მისი გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის, ნეიტრონული ბომბის წარმოებაზე სახელმწიფოთა ორმხრივი უარისთქმის საკითხებს. სსრ კავშირს იმედი აქვს, რომ მოლაპარაკების მონაწილე პარტნიორები ღირსეულად შეაფასებენ საბჭოთა წინადადებებს, რომელთა განხორციელება უმნიშვნელოვანესი ეტაპი გახდება გამალებული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და ბირთვული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილების გზაზე, და თავის მხრივ, სათანადო ღონისძიებებს განახორციელებენ.

მაგრამ სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ დღემდე ამ პრობლემების განხილვისადმი დასავლეთის სახელმწიფოთა მიდგომა კონსტრუქციული ხასიათით არ გამოირჩეოდა. უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნები სიტყვით განიარაღების მომხრენი არიან, საქმით კი... სულ უფრო ზრდიან თავიანთ სამხედრო ხარჯებს. შეერთებულ შტატებს ახლა თავის ისტორიაში ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტი აქვს, რომელიც მიმდინარე წელს 118 მილიარდ დოლარს შეადგენს; მომავალი წლისათვის კი უფრო მეტს — 126 მილიარდს მოითხოვენ. წელს იაპონიაში სამხედრო ასიგნებანი შარშანდელს 12,4 პროცენტით გადააჭარბებს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კი შესაბამისად 4,3 პროცენტით გადაამეტებს. ინგლისი — 1979-80 საფინანსო წელს ამ ხარჯებს 3 პროცენტით ზრდის. გაფაციცებით აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას ნატოს სამხედრო ბლოკში. (საქდესი).

საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის შესახვედრად

# ინიციატივით, აქტიურობით

ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კლუბის საქმეები

[illegible]

„კომუნისტის“ ფოსტიდან

## მკითხველმა გვამცნო

### საჩუქარი მთიელ ბავშვებს

ლენინგორი. მაღალი მთის სოფლის ლარგვისის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — აშენდა ორსართულიანი ახალი სკოლა-ინტერნატი ნათელი ფართო სასწავლო და საცხოვრებელი ოთახებით, ახალი ინვენტარით.

ვ. ზარიძე.

### ფუტკრის ახალი ოჯახი

ზუგდიდი. აბასთუმნის ტუნგის საბჭოთა მეურნეობამ შარშან 50 ფუტკრის ოჯახი შეიძინა. მეურნეობამ წლეულს უკვე მიიღო 5 ნაყარი და ნაცვლად 200 კილოგრამისა—260 კილოგრამი თაფლი, მომავალში ვარაუდობენ თითოეული ოჯახიდან 12 კილოგრამი თაფლის მიღებას.

ახალ შენაძენს თავს დასტრიალებს გამოცდილი მეფუტკრე ვ. ფიფია.

პ. აბსანძე.

### შეხვედრა ხალხურ მთქმელთან

ჩხოროწყუ. ხალხურ მთქმელს შ. კვარაცხელიას მ[illegible] რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა შეხვედრა მოუწყვეს. მთქმელმა მოსწავლეებს ახალი ლექსები წაუკითხა, პიონერებმა მასთან მეგობრობა და მისი ლექსების შეკრება გადაწყვიტეს.

დ. ყალიჩავა.

## გულნარა ჯაფარიძე



ქართულმა ხელოვნებათმცოდნეობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა სკპ წევრი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი გულნარა დავითის ასული ჯაფარიძე.

გ. ჯაფარიძე დაიბადა 1917 წელს ყვარელში, 1941 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1946 წლიდან მუშაობდა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ჯერ მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ სწავლულ მდივნად, ბოლოს კი განყოფილების გამგედ. 1958-1960 წლებში იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნების განყოფილებას. 1956 წლიდან გ. ჯაფარიძე სსრ კავშირის მხატვართა კავშირის წევრია. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მხატვართა კავშირის კრიტიკოსთა სექციის მდივნად, ხოლო 1974 წელს არჩეულ იქნა ამავე სექციის თავმჯდომარედ.

გ. ჯაფარიძე იყო თანამედროვე ქართული ხელოვნების თვალსაჩინო მკვლევარი. უფროსი და საშუალო თაობის მხატვართაგან თითქმის არავინ დარჩენილა, რომლის შემოქმედებაზე მას თავისი პროფესიული, მართალი და კეთილი სიტყვა არ ეთქვას რესპუბლიკურ და საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებსა თუ საჯარო გამოსვლებში.

ქართული სახვითი ხელოვნების მხურვალე თაყვანისმცემელი, იგი ენერგიას არ იშურებდა მისი პოპულარიზაციისათვის და ხშირად [illegible] ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენას როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ამ გამოფენებს მუდამ ახლდა თან მის მიერ შედგენილი სამეცნიერო კატალოგები.

გ. ჯაფარიძე საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ერთ-ერთი ამაგდარი თანამშრომელი იყო. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის მუზეუმში ექსპოზიციების გამართვის, ჩვენი ეროვნული კულტურის პროპაგანდის და მუზეუმის უმდიდრესი ფონდების მეცნიერული შესწავლის საქმეში.

მას გამოქვეყნებული აქვს ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი რამდენიმე მონოგრაფია და 150-მდე სტატია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მონოგრაფიული ნაშრომი თანამედროვე ქართული ლითონმქანდაკებლობის შესახებ. ფართო კვლევის გარდა ჩვენს დროში აღორძინებულ ხელოვნების ამ უძველეს დარგს მან ძველ ქართულში მოძიებული ტერმინი მიუსადაგა და ჭედური ხელოვნების ნაცვლად ლითონმქანდაკებლობა უწოდა. საინტერესოა მისი მონოგრაფიები სოსო ვაბაშვილზე, თამარ აბაკელიაზე, კორნელი სანაძეზე, დიდი პასუხისმგებლობით შედგენილი ალბომები და წიგნი „შეხვედრები ქართველ მხატვრებთან“. ამ უკანასკნელში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მხატვართა შემოქმედებითი პორტრეტები.

გულნარა ჯაფარიძის — შესანიშნავი მოქალაქის, გულისხმიერი ადამიანის და მეცნიერის ხსოვნას სათუთად შეინახავენ მისი მეგობრები და ჩვენი საზოგადოებრიობა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; საქართველოს სსრ მხატვართა კავშირი; საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

## მეცნიერებისა და გონების მეხოტბე

ჟიულ ვერნის დაბადების 150 წლისთავის გამო

8 თებერვალს 150 წელი სრულდება ჟიულ ვერნის დაბადების დღიდან (1828-1905). ჩვენს ქვეყანაში, ალბათ, ვერ ნახავთ ადამიანს, რომელსაც მისი წიგნები არ წაეკითხოს და აღტაცებული არ ყოფილიყოს კაპიტან ნემოს, ჭაბუკ რობერტ გრანტისა და სხვა მამაცი და კეთილშობილი გმირების ვაჟკაცობით. ამ შესანიშნავი ფრანგი მწერლის ნაწარმოები იტაცებს მკითხველს, ისინი აღსავსეა მომხიბლავი თავგადასავლებით, გმირობითა და თამამი ოცნებებით.

რა თქმა უნდა, ჟიულ ვერნი თავის ფანტასტიკურ რომანებს თავისი დროის მეცნიერული მიღწევების საფუძველზე ქმნიდა. ჩვენმა XX საუკუნემ, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების საუკუნემ, ბევრად გადააჭარბა დიდი ფანტასტის ყველაზე თამამ და გაბედულ ოცნებებს, მაგრამ ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ ყოველივე ამის მიუხედავად ჟიულ ვერნის საუკეთესო რომანებს დღემდე უდიდესი ინტერესით კითხულობენ.

საგულისხმოა, რომ ჟიულ ვერნის უამრავ წიგნს შორის ბევრი ნაწარმოები რუსეთთან არის დაკავშირებული. ეს შორეული, უზარმაზარი ქვეყანა ყოველთვის აინტერესებდა მწერალს. ბევრ მის წიგნში ვხვდებით რუსი მოგზაურების, ზღვაოსნებისა და მეცნიერების სახელებს. მწერლის შვიდ ნაწარმოებში მოქმედება მთლიანად ან ნაწილობრივ რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს. მათ შორისაა რომანები „მიხეილ სტროგოვი“, „დრამა ლივონიაში“, „დამპყრობი რობური“. ეს რომანები რუსეთის ხალხისადმი დიდი სიმპატიით არის გამსჭვალული. გასაოცარია, რა ზუსტად აღწერს ჟიულ ვერნი მიხეილ სტროგოვის გზას მოსკოვიდან ირკუტსკამდე, ან ციმბირის პოლარულ სანაპიროს. თუმცა მწერალი არასოდეს არ ყოფილა რუსეთში.



ჟიულ ვერნმა იცოდა, რომ რუს მკითხველს უყვარდა მისი რომანები და ძალზე ამაყობდა ამით. მისი პირველი რომანი „ხუთი კვირა საჰაერო ბურთზე“ (1863) რუსულად უკვე 1864 წელს გამოვიდა. შემდეგ არც ერთი წელი არ ყოფილა, რომ არ გამოსულიყო მისი ახალი წიგნები, მათ შორის ისტორიულ-გეოგრაფიული შრომები. ბევრი რომანი, თვით ავტორის თხოვნით, მარკო ვოვჩოკმა* თარგმნა. იგი მრავალ წელს ცხოვრობდა პარიზში და მას ხშირად ხვდებოდა ჟიულ ვერნი თავის გამომცემელ ეტცელთან.

რუსული კულტურის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე დიდი მადლიერებითა და აღტაცებით იხსენებს, თუ როგორ გაეცნო ჟიულ ვერნის წიგნებს. ელემენტების პერიოდული სისტემის შემქმნელი დ. ი. მენდელეევი დიდად აფასებდა მის რომანებს, განსაკუთრებით „კაპიტან გატერასის მოგზაურობას“. კოსმონავტიკის მამა კ. ე. ციოლკოვსკი თავის ნამუშევრებში აღნიშნავდა, კოსმოსური მოგზაურობის სურვილი ჟიულ ვერნმა ჩამინერგაო. ცნობილი გეოგრაფი და გეოლოგი აკადემიკოსი ვ. ა. ობრუჩევი იხსენებდა, მოგზაური და აზიის მკვლევარი ჟიულ ვერნისა და მაინ რიდის წიგნების კითხვის შედეგად გავხდიო. დიდი სიამოვნებით კითხულობდა ჟიულ ვერნს ლ. ნ. ტოლსტოი, მისი რომანებით აღტაცებული იყო ი. ს. ტურგენევი, რომელიც პირადად იცნობდა მწერალს. პირველ რევოლუციისშემდგომ წლებში მაქსიმ გორკიმ, როცა „მსოფლიო ლიტერატურის“ გამოცემის პროსპექტს ადგენდა, მსოფლიო ლიტერატურის სხვა შედევრებთან ერთად ჟიულ ვერნის რომანებიც შეიტანა. უკვე 1927-1929 წლებში გამოიცა მისი თხზულებების კრებული, რომელშიც 32 რომანი შევიდა.

„იგი ჩემთვის ბავშვობაში მარტო მხსნელი კი არა, რაღაც უფრო მეტი იყო, — წერდა ნიკოლოზ ოსტროვსკი — ავტორი წიგნისა „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. — რა უდიდესი ადგილი ეკავა ჩემს სულში ჟიულ ვერნის შესანიშნავ თხზულებებს! რა მგზნებარედ ვკითხულობდი მის სქელ წიგნებს და ვიტანჯებოდი იმის გამო, რომ კითხვა ადრე თუ გვიან უნდა დამთავრებულიყო!“.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ ბევრი რამ გააკეთა, რომ უფრო სრულად გაეშუქებინა მწერლის შემოქმედება, რომელსაც დიდხანს საბავშვო და საყმაწვილო წიგნების ავტორებს მიაკუთვნებდნენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჟ. ვერნის 12-ტომიანი თხზულებათა კრებული, რომელიც გამომცემლობა „ხუდოჟესტვენაია ლიტერატურამ“ გამოუშვა 1954-1958 წლებში (390.000 ეგზემპლარი) რუსულ ენაზე.

ჟიულ ვერნის ნიჭის თაყვანისმცემლებს დიდ სიამოვნებას ანიჭებს მისი ნაწარმოებების გმირებთან შეხვედრა სცენასა და ეკრანზე.

გავიხსენოთ აგრეთვე რა უდიდესი წარმატება ჰქონდა ჩვენში ფილმებს „კაპიტან გრანტის შვილებს“, „საიდუმლო კუნძულს“ და „ხუთმეტი წლის კაპიტანს“.

ჟიულ ვერნის საუკეთესო რომანები დღესაც შთააგონებს ფანტაზიასა და შემოქმედებითს აზრს, გვიზიდავენ ადამიანის გონებისა და მეცნიერების განუსაზღვრელ შესაძლებლობათა რწმენით. შემთხვევითი არ არის, რომ ჟ. ვერნი, ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსთა შორის ერთ-ერთი იმათგანია, რომლებსაც ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავთ ჩვენს ქვეყანაში.

ი. ლილეევა,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.
(ახალი ამბების სააგენტო).

* მარკო ვოვჩოკი — მარიამ ვილინსკაია-მარკოვიჩის (1834-1907), უკრაინელი და რუსი მწერლისა და მთარგმნელის ლიტერატურული ფსევდონიმია.



საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მახლობლად აგებული მძლეოსნობის ახალი დარბაზი მართლაც რომ მოუხდა ვაკის სპორტკომბინატის კომპლექსს. დარბაზის სპორტული სარბიელი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება; სიგანე — 28 მეტრი, სარბენი ბილიკის სიგრძე — 200 მ. აქ შეიძლება მოეწყოს ვარჯიშები და შეჯიბრებები სპრინტში, 110 მეტრზე თარჯრბენში, სიმაღლეზე და ჭოკით ხტომაში.

* * *

სურათებზე: დარბაზის საერთო ხედი; სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, საქართველოს ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში ნიკოლოზ ნაზლაიძე ავარჯიშებს ახალგაზრდა სპორტსმენებს.

ხ. ედიშერაშვილის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## გადახურული სტადიონი



პრეტენდენტთა ფინალური...

მეშვიდე პარტია

## 19 სვლის შემდეგ...

წუხელ რედაქცია დაუკავშირდა ბად-კისინგენს. ტელეფონთან მოვიდა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტის სეკუნდანტი ბუხუტი გურგენიძე.

აი რა გვიამბო მეშვიდე პარტიის შესახებ: კუშნირმა პარტია ლაზიერის წინა პაიკით დაიწყო, რასაც ჩიბურდანიძემ ამ მატჩში მეოთხედ უპასუხა ძველინდური დაცვით, მეხუთე სვლაზე კუშნირმა აირჩია ვარიანტი, რომლის მიზანია მაქსიმალურად შეზღუდოს შავების კონტრთამაში. ამ დროს მაიამ კარგად მოფიქრებული გეგმა აირჩია და, ჩინებული თამაშიც მიიღო. ჩემი აზრით, კუშნირის აქცია ლაზიერის ფრთაზე ნაადრევი იყო. ამაზე მაიას შეეძლო ენერგიული დარტყმით ეპასუხა და მატერიალური უპირატესობა მიეღო, მაგრამ მან სხვანაირად ითამაშა. შავებმა ჯერ მოიგეს ხარისხი, მაგრამ შემდეგ სწრაფად დაუბრუნეს იგი მეტოქეს. პოზიცია მეტად მძაფრი გახდა. მეტოქეებს დარჩენილ 21 სვლაზე დაახლოებით თანაბარი დრო — 50-50 წუთი დარჩათ.

პარტია ასე მიმდინარეობდა:

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. მf3 0-0 5. კf4 d6 6. e3 მbd7 7. კe2 c6 8. 0-0 ლe8 9. h3 e5 10. კh2 ლe7 11. b4 ეe8 12. c5 dc 13. de მh5 14. bc მ:e5 15. მe4 მ:f3+ 16. კ:f3 კ:a1 17. ლ:a1 კf5 18. მd6 მf6 19. მ:e8 მ:e8

ეს პარტია გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

კალათბურთი

## კვლავ გამარჯვება

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და რიგის ვეფს შორის.

შეხვედრის პირველ თორმეტ წუთში მასპინძლებმა მეტოქეებს, რომ იტყვიან, ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს და დამაჯერებელი უპირატესობაც მოიპოვეს (32:18). იოლი გამარჯვებით დაიმედებული მაყურებელი მომდევნო პერიოდებში სულ სხვა სურათის მოწმე გახდა. რიგელებმა ტაიმის დასასრულს წონასწორობა აღადგინეს (55:55), ხოლო თამაშის მეორე ნახევრის პირველ თორმეტწუთიან პერიოდში დაწინაურებაც შეძლეს (83:75). მატჩის ბედი უნდა გადაეწყვიტა დასკვნით, მეოთხე თორმეტწუთიან ეტაპს. შეხვედრის ენდშპილში მასპინძლებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და გაიმარჯვეს (98:95). დინამოელებმა მეტად საჭირო ქულა შეიძინეს.

თბილისელებმა, ისევე, როგორც კაუნასის „ჟალგირისთან“, რიგელებთანაც ძნელი გამარჯვება მოიპოვეს.

თბილისელთა შორის თავი ისახელა დერიუგინმა, რომელმაც გუნდს 43 ქულა შესძინა.

გუშინ გაიმართა კიდევ ერთი მატჩი. კიევის „სტროიტელმა“ შინ დაამარცხა კაუნასის „ჟალგირისი“ — 113:89.

გათამაშებაში ტრადიციულად ლიდერობენ მოსკოველი არმიელები (14 შესაძლებლობიდან 13 ქულა), თბილისელებმა მეორე ადგილზე გადაინაცვლეს (15-დან 10). მესამე ადგილზეა ლენინგრადის „სპარტაკი“ (14-დან 9).

## „სპორტლოტო“

სპორტულ ლატარიათა მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 4 თებერვალს გამართული „შაბათის სპორტლოტოს“ (36-დან 5) მე-5 ტირაჟის შედეგები.

1-ლი ტირაჟი: ხუთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ 5.000 მანეთს, ოთხისა — 234 მანეთს, სამისა — 7 მანეთს.

მე-2 ტირაჟი: ხუთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ 5.000 მანეთს, ოთხისა — 161 მანეთს, სამისა — 5 მანეთს.

„შაბათის სპორტლოტოს“ (36-დან 5) მე-5 ტირაჟის მოგებანი გაიცემა 15 თებერვლიდან 15 მარტის ჩათვლით. (საკდესი).

## საჭიდაო ხალიჩაზე

ახლახან სამტრედიაში დამთავრდა რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენთა ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებული პირად გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ამ ასპარეზობის შესახებ მოგვითხრობს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ი. ჩხარტიშვილი.

— შეჯიბრებაში რესპუბლიკის 16 ქალაქისა და რაიონის 150-ზე მეტი მოჭიდავე მონაწილეობდა. დიდი ინტერესი გამოიწვია მასპინძელთა ჩინებულმა სტარტმა. მართალია, საბოლოოდ სამტრედიის ნაკრებმა მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა აჭარის ნაკრებისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტკლუბის კოლექტივების შემდეგ, მაგრამ ეს უთუოდ დიდი წარმატებაა.

წონითი კატეგორიის მიხედვით „კოლმეურნის“ ჩემპიონები გახდნენ: ა. დავითაძე (აჭარა), თ. ხატიაშვილი, რ. გამბაროვი (საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტული კლუბი), ო. პილოსიანი (აფხაზეთი), გ. ჯანელიძე (აჭარა), ვ. ადეიშვილი— (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), ჯ. მახარაძე, თ. წულუკიძე (ორივე — აჭარა), მ. სურმავა, ა. ჭელიძე (ორივე — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი).

## მამაცი მფრინავის ხსოვნისა

საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის აუზში 9-13 თებერვალს გაიმართება წყალბურთელთა პირველი საკავშირო ტურნირი, რომელზეც გათამაშდება მამაცი მფრინავის საბჭოთა კავშირის გმირის, ავიაციის გენერალ-მაიორ გარი მერკვილაძის სახელობის პრიზი. ამ ღონისძიების მოწყობის თაოსნობა იკისრა საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატმა (დირექტორი ი. მეტრეველი). ტურნირში, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წლისთავს, მონაწილეობას მიიღებენ ხარკოვის „ლოკომოტივი“, ბაქოს ნაკრები, აგრეთვე, საქართველოს ნაკრები გუნდები (მოზრდილები და იუნიორები) და თბილისის „ბურევესტნიკი“. თამაშები მოეწყობა ორ წრედ: შეჯიბრების მთავარ არბიტრად დანიშნულია საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ბათუმელი გ. კალანდაძე, საქმე ის არის, რომ ომამდე გ. კალანდაძე გ. მერკვილაძის მწვრთნელი იყო. მერკვილაძე ბავშვობისას ჭაბუკ წყალბურთელთა აჭარის ნაკრების კაპიტანი იყო და მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში.

როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, გ. მერკვილაძე სამშობლოს დასაცავად გაეშურა. იგი იბრძოდა 152-ე გვარდიულ საავიაციო პოლკში და ბერლინამდე მივიდა. პირადად მას ანგარიშზეა 15 ჩამოგდებული მტრის თვითმფრინავი.

ბ. კამენსკი.

## მოკლედ

ჩოგბურთი. პოლონეთის ქალაქ ხოჟუვში ლვოველ იგორ პოლიპჩუკსა და მინსკელ სერგი ლეონიუკს შორის გაიმართა იუნიორთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ფინალური მატჩი. გაიმარჯვა პოლიპჩუკმა — 6:4, 6:4. პოლიპჩუკმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა ამ საერთაშორისო ტურნირის პრიზი. გოგონათა შორის პირველობა დაისაკუთრა პოლონელმა სპორტსმენმა მაგლოჟატა რეიდიხმა.

ფეხბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონებმა ფეხბურთში კიევის დინამოელებმა ახალი სეზონის მზადების პროგრამით სოჭში გამართეს ამხანაგური შეხვედრა პოლონეთის საკლუბო გუნდთან „არკასთან“ (გდინია) და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს კოლოტოვმა და მალკომ, სტუმართაგან — კუპცევიჩმა.

ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. გორკში გათამაშდა სსრ კავშირის თასი. აქ თავი ისახელა ლენინგრადელმა ს. საიჩუკმა. მან ყველას აჯობა და თასი მოიპოვა.

ამინდი

## თოვლი, ქარბუქი

გუშინ 12 საათზე სანაპირო რაიონებში წვიმდა, რიონის ხეობაში კვლავ შტორმული, წამში 30-40 მეტრი სიძლიერის ქარი ქროდა, მთებში თოვდა. ყველაზე მეტი სითბო — 10 გრადუსი გაგრაში აღინიშნა, დანარჩენ რაიონებში 6-8, მთებში ნული — 3 გრადუსი სითბო იყო.

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან თოვდა, დაბლობ რაიონებში ნული — 2 გრადუსი სითბო, მთებში 4-5 გრადუსი ყინვა იყო.

გუშინ 12 საათზე თბილისში თოვდა, თერმომეტრი ერთ გრადუს სითბოს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, ზოგან წვიმა, მთაში ქარბუქი, იქროლებს წამში 15-20, რიონის ხეობაში 30-35 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი. ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 9-14, მთებში 1-6 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში თოვლი და ნისლია მოსალოდნელი, გზები მოყინულია, გორი — ხაშურის მიმართულებით იქროლებს წამში 11-16 მეტრი სიძლიერის ქარი, დაბლობ რაიონებში 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო იქნება, მთებში 2-6 გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია თოვლი, ნისლი, ტემპერატურა 2-4 გრადუსი სითბო.

## გრიგალი ქუთაისში

ორ თებერვლიდან ქუთაისში მძვინვარებს შტორმული ქარი, რომლის სიჩქარემ 5 და 6 თებერვალს 35-40 მეტრს, ხოლო 7 თებერვალს — ოცმოცდა ცხრა მეტრს მიაღწია წამში. გრიგალმა მნიშვნელოვნად დაარღვია საქალაქო მეურნეობის ნორმალური მუშაობა, აგრეთვე დააზიანა ზოგიერთი სამრეწველო საწარმოსა და კერძო მფლობელის შენობა-ნაგებობები. ძალზე დაზიანდა სახურავები, კედლები, ჩაიმსხვრა მინები, დაზიანდა და მწყობრიდან გამოვიდა ელექტრო და კავშირგაბმულობის ხაზები.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა რკინიგზის სადგურებში. 5, 6, და 7 თებერვალს სრულიად შეწყდა დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოები.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეიქმნა საგანგებო ღონისძიებათა შტაბი. ადგილებზე, სამრეწველო საწარმოებში შექმნილია ასეთივე შტაბები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ოპერატიულად მიიღო ზომები სტიქიით გამოწვეული შეფერხებებისა და ზარალის ლიკვიდაციისათვის.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

რედაქტორი
დ. მეძმარიაშვილი.

ტელევიზია

### 8 თებერვალი

#### პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოქტომბრით შობილნი“ (ფერადი), 10.20 — საბჭოთა არმიის მე-60 წლისთავისათვის — მხატვრული ფილმი „ინიშნება შვილიშვილად“. მეორე სერია (ფერადი), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.45 — განცხადებები, 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 18.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერთსა ყვავსა ყვანჩალასა...“, 18.50 — „საერთაშორისო დღიური“, 19.10 — „მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“ (ფერადი), 19.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.10 — ფრანგული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „შავი პური“ — „სახლი მინდორში“. მეორე სერია. პრემიერა. (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — კონცერტი, 23.10 — სპორტული მიმოხილვა.

#### მეორე პროგრამით

18.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „კიში და ორჩანთა“, 19.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ოცნების კუნძული“ და „სარატოვი“ (ფერადი), 20.55 — ნოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი კვირა დღე“ (ფერადი).

თეატრი

### 8 თებერვალი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დალი და მონადირე; შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საგრალდებო დასკვნა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეეთიმ ბურჯი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ყარამანს ქალი მოყავს; ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — მოსაწყენი დღეების ქრონიკა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ილია მიხეილის ძე გვერდწითელი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე გაიმართა ვერდის ოპერა „ოტელოს“ პრემიერა.

პრემიერისათვის მომზადებული იყო შემსრულებელთა ორი შემადგენლობა.

ჩვენ დავესწარით „ოტელოს“ პრემიერას, როცა მთავარ პარტიებს ასრულებდნენ ზ. სოტკილავა — ოტელო, მ. ქასრაშვილი — დეზდემონა და ვ. ვალაიტისი — იაგო. სპექტაკლის დასასრულს მაყურებელი ფეხზე ადგა და ოვაცია გაუმართა სპექტაკლის მონაწილეებს.

ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია ფართოდ გამოეხმაურნენ „ოტელოს“ პრემიერას. აი რას წერდა ცნობილი საბჭოთა მუსიკათმცოდნე ა. ალექსანდროვი გაზეთ „სოვეტსკაია როსიაში“ ქართველი მომღერლების თაობაზე:

სხვა გაზეთების ფურცლებზე

## მოსკოველი მუსიკათმცოდნის აზრით

„სოტკილავას ოტელოს მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, პუშკინის ხატოვანი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, არის საოცარი მინდობლობა. დიდი და თავდაუჭერელი ვნებები, პატიოსნება და ბავშვური გულუბრყვილობა, სულიერი სიწმინდე და მეტად იმპულსური ნატურა, ყოველ წამს რომ შემართულია ასაფეთქებლად — ასეთი შტრიხებით წარმოგვიდგინა თავისი გმირი მომღერალმა. მსახიობის საუცხოო ვოკალური მონაცემები, მუსიკალობა და ზნეობრივი სიწმინდე, შეზავებული შინაგან სულიერ სიმტკიცესთან ქმნის სოტკილავას ოტელოს განუმეორებელ სახეს და მაყურებლის გულწრფელ სიმპათიასა და მხარდაჭერას იმსახურებს“.

„მაყვალა ქასრაშვილის დეზდემონა ძალიან ახლო დგას შექსპირის დეზდემონასთან. ჩვენ იმ წამსვე გამოვიცანით მასში რენესანსის ეპოქისდროინდელი სრულიად ახალგაზრდა ვენეციელი გოგონა. ოტელოსთან შეხვედრის სცენებში მომღერალი დიდი სულიერი სითბოთი და ექსპრესიით იცავს თავის ბედნიერებას, ამიტომაც ასეთი სიმართლით ჟღერს მისი გულიდან ამოხეთქილი სევდა და წუხილი ოპერის ფინალში. ქასრაშვილის მიერ თავისი როლის ვოკალური „გაშიფვრა“ მეტად მოქნილი და ექსპრესიით სავსეა“.

დ. მაჭავარიანი,

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 98-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უდ 07674 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14